



KA070162872638518



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N03/217

28 / ივნისი / 2018 წ.

ქ.თბილისი

„უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 23 თებერვლის N3/46 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N96 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 23 თებერვლის N3/46 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართის რიგითი N32 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

რიგითი N	ძეგლის დასახელება	აგების თარიღი	ძეგლის მდებარეობა
32	საცხოვრებელი სახლი	XIX ს. დასასრული	ქ. სიღნაღი, შოთა რუსთაველის შეს. N4

2. მინისტრის აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

მიხეილ გიორგაძე